თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4898555

ნომერი: AR1736488

თარიღი : 24.02.2020

გაცემის თარიღი : 13.03.2020

გაცნობის თარიღი : 21.05.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კალოუბანის ქუჩა, N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 24 თებერვლას №AR1736488 განცხადებით მომართა მიხეილ გიორგობიანმა და მოითხოვა სამსახურის 2019

წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, ქუჩა კალოუბანი, N40, (ნაკვ. 21/023), N01.19.20.021.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის ((სავაჭრო, საცხოვრებელი) სექტორი N2, შენობა N1) არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 აპრილიდან 2022 წლის 11 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ფასადების pdf ფაილის ველში შეცდომით აიტვირთა სხვა პროექტის ერთ-ერთი ფასადი, შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის ჩანაცვლებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ფასადების pdf ფაილის ველში მე-3 გვერდზე არსებული 8-1 ფასადი არასწორად იქნა წარმოდგენილი, კერძოდ შეთანხმებული პროექტის ფასადების მე-3 გვერდზე ატვირთული ფასადის ნაცვლად უნდა იყოს 2020 წლის 24 თებერვლის №AR1736488 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში 61-ე გვერდზე წარმოდგენილი ფასადი „ა-ი“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ფასადების მე-3 გვერდზე ატვირთული (pdf ფაილის ველში) 8-1 ფასადი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში 61-ე გვერდზე წარმოდგენილი ფასადით „ა-ი“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 აპრილის №4454313 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.